ევროკავშირის ჰორიზონტულ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის კონვერგენციის გეგმა

2013

კვლევა ჩატარდა „მწვანე ალტერნატივას“ პროექტის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან დაკავშირებულ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება“ ფარგლებში. მწვანე ალტერნატივა მადლობას უხდის ევროკავშირს პროექტის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2013

სარჩევი

შესავალი 2

1. დირექტივა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ 4

2. დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების შესახებ 7

3. დირექტივა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ 11

4. დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისას საზოგადოების მონაწილეობის შესახებ 12

შესავალი

საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარების შემდეგ, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი ევროკავშირთან დაახლოება და საბოლოოდ, მასში გაწევრიანება გახდა. 1990-იანი წლების დასაწყისიდან საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან. 1999 წელს ძალაში შევიდა ევროკავშირთან პარტიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება, რამაც განსაზღვრა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის ძირითადი მიმართულებები. 2006 წელს მიღებულ იქნა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომლობის სტრატეგიასა და პრიორიტეტულ მიმართულებებს 2013 წლამდე. 2010 წელს დაიწო მოლაპარაკება საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე, რომელიც 2013 წლის მარტში დასრულდა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა შეთანხმების გაფორმებაზე. საქართველო, შეთანხმებით, იღებს ვალდებულებას, გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის მთელ რიგ დირექტივებთან, მათ შორის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

ამ პროცესებში, საქართველოს კანონმდებლობის (მათ შორის, გარემოსდაცვით სფეროში) ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება. თუმცა, იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაახლოების პროცესი ევროკავშირის კანონმდებლობასთან უკვე დაწყებულია, იკვეთება მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებიც აბრკოლებს ამ მიმართულებით მუშაობას. კერძოდ:

(1) არ არსებობს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისობის არსებული მდგომარეობის ანალიზი და საზოგადოების თანამონაწილეობის მექანიზმები;
(2) გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს არ აქვთ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის პროცესის სიღრმისეული ცოდნა;
(3) გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის პროცესში ჩაბმულ მხარეებს შორის არ მიმდინარეობს თანაშრომლობა და რეგულარული დიალოგი;
(4) გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანისათვის არ არის შემუშავებული პრიორიტეტული მიმართულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი. 2013 წელს მწვანე ალტერნატივამ ჩაატარა დეტალური კვლევა, რათა დაედგინა, **რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის ჰორიზონტულ გარემოსდაცვით კანონმდებლობას**[1]. ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც თანაბრად ეხება გარემოს სხვადასხვა ელემენტის (მაგ., წყლის, ჰაერის, ნიადაგის) მარეგულირებელ კანონმდებლობას. ის არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი სექტორით და ამდენად, მას ხშირად „გამჭოლ“ კანონმდებლობასაც უწოდებენ. სექტორული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ჰორიზონტული კანონმდებლობა პროცედურული ხასიათისაა და მიზნად ისახავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებას.

ევროკავშირის ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა აერთიანებს ხუთ დირექტივას. ესენია:

1. დირექტივა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ (Access to Information Directive 2003/4/EC);
2. დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (Environmental Impact Assessment Directive 85/337/EEC);
3. დირექტივა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ (Strategic Environmental Assessment Directive 2001/42/EC).
4. დირექტივა საზოგადოების მონაწილეობის შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში (Directive providing for public participation in EIA 2003/35/EC);
5. დირექტივა ანგარიშგების შესახებ (Reporting Directive 91/692/EEC).

ამ ანგარიშის მომდევნო ნაწილში წარმოდგენილია ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი დირექტივიდან ოთხთან საქართველოს კანონმდებლობის კონვერგენციის გეგმა. გეგმა არ მოიცავს კონვერგენციის ღონისძიებებს

[1] კვლევის ანგარიში: „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება: ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“ ხელმისაწვდომია მწვანე ალტერნატივას ვებგვერდზე: www.greenalt.org

ანგარიშგების შესახებ დირექტივასთან, შემდეგი მიზეზების გამო: ანგარიშგების შესახებ დირექტივა ავალდებულებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ანგარიშების მომზადებას გარკვეული სექტორული დირექტივების შესრულების შესახებ. მაგალითად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მოამზადონ ანგარიშები გარკვეული საშიში ნივთიერებებისაგან მიწისქვეშა წყლების დაცვის შესახებ დირექტივის (80/68/EEC), სასმელი წყლის შესახებ დირექტივის (80/778/EEC), აზბესტისაგან გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისა და შემცირების შესახებ დირექტივის (87/217/EEC) შესრულების შესახებ (დირექტივების სრული ჩამონათვალი წარმოდგენილია თავად ანგარიშგების შესახებ დირექტივის დანართებში). მსგავსი ანგარიშგების პროცედურა, რომელიც ასახავდა სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, საქართველოში არ არსებობს. ამასთან, საქართველოს სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს ევროკავშირის სექტორულ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან კონვერგენციის მისაღწევად. ამდენად, ამ უკანასკნელ სფეროში განხორციელებულ ცვლილებებამდე, ანგარიშგების შესახებ დირექტივასთან კონვერგენცია რთული მისაღწევი იქნება. გარდა აღნიშნულისა, ანგარიშგების შესახებ დირექტივის წარმოდგენილ გეგმაში ჩაურთველობის მიზეზია, ასევე, ის გარემოებაც, რომ ამ დირექტივასთან კონვერგენციის ვალდებულებას არ ითვალისწინებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის დასადები ასოცირების შეთანხმებაც[2].

როგორც ზემოთ აღინიშნა, მწვანე ალტერნატივამ ჩაატარა დეტალური კვლევა რათა დაედგინა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ჰორიზონტულ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის ხარისხი. კვლევის შედეგად გამოვლინდა როგორც კონკრეტული საკითხები, სადაც აუცილებელია კონვერგენცია, ისე შემდეგი ზოგადი სურათიც:

- **დირექტივა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ** - საქართველოს კანონმდებლობა დიდწილად შეესაბამება დირექტივის მოთხოვნებს;
- **დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების შესახებ** - საქართველოს კანონმდებლობა დიდწილად არ შეესაბამება დირექტივის მოთხოვნებს;
- **დირექტივა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ** - საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ არ შეესაბამება დირექტივის მოთხოვნებს;
- **დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისას საზოგადოების მონაწილეობის შესახებ** - საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამება დირექტივის მოთხოვნებს.

ანგარიშის მომდევნო ნაწილში მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის კონვერგენციის ღონისძიებები. როგორც ცხრილებიდან ჩანს, თითოეული დირექტივის შემთხვევაში, წარმოდგენილია:

- დირექტივით რეგულირებადი ძირითადი საკითხები (მოთხოვნები/პრინციპები);
- თითოეულ საკითხთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის სტატუსი (კომენტარით, საჭიროების შემთხვევაში);
- კონვერგენციის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებები;
- ღონისძიების დროში პრიორიტეტულობა (არ არის მოცემული კონკრეტული წელი ან პერიოდი, მაგრამ მოცემულია ოთხი წლის ფარგლებში კონკრეტული წელი/წლები, ღონისძიების გადაუდებლობიდან გამომდინარე. ოთხწლიანი პერიოდი აღებულ იქნა ასოცირების შეთანხმების პროექტით დადგენილი ვადების გათვალისწინებით);
- ღონისძიების გატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოები და შესაძლო კონტრიბუტორები;
- ღონისძიების შესრულების მდგომარეობის მაჩვენებელი ინდიკატორები;
- საკანონმდებლო ნორმების კონვერგენცია, ბუნებრივია, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებების გატარებას. მიუხედავად ამისა, ყოველი დირექტივის შემთხვევაში, ცხრილების დასასრულს, წარმოდგენილია სხვა ღონისძიებებიც, რომლებიც, გეგმის ავტორთა აზრით, ხელს შეუწყობენ საკანონმდებლო ნორმების ეფექტურ აღსრულებას.

[2] მართალია, ეს დოკუმენტი ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის, თუმცა მწვანე ალტერნატივას ხელთ აღმოჩნდა ასოცირების შეთანხმების პროექტის ის ნაწილი, რომელიც მოიცავს გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის საკითხებს, მათ შორის, გარემოს დაცვის სფეროში მოქმედ კონკრეტულ დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების გრაფიკს.

1. დირექტივა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ

ევროკავშირის დირექტივა მოთხოვნა / პრინციპი	შესაბამისობის შეფასება	კომენტარი	კონვერგენციისთვის აუცილებელი ღონისძიება	ღონისძიების დროში პრიორიტეტულობა	პასუხისმგებელი ორგანოები & კონტრიბუტორები	კონვერგენციის ინდიკატორები
„გარემოსდაცვითი ინფორმაციის“ განმარტება	**შეესაბამება**	განმარტება არ არის კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში, თუმცა, ორჰუსის კონვენცია მიუთითებს, თუ რა იგულისხმება „გარემოსდაცვით ინფორმაციაში“.	–	–	–	–
მუხლი 3(2). საჯარო სამსახურის მიერ გარემოსდაცვითი ინფორმაციის განმცხადებლისათვის მიწოდების **მაქსიმალური ვადა** განისაზღვრება ერთი თვით (ან ორი თვით, თუკი ინფორმაციის მომზადებასა და მიწოდებას მეტი დრო სჭირდება).	**შეესაბამება** ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (შემდგომში - ზაკ-ი), მუხლი 40		–	–	–	–
მუხლი 3(4). საჯარო სამსახურის მიერ გარემოსდაცვითი ინფორმაციის განმცხადებილისათვის მიწოდება უნდა მოხდეს იმ **ფორმატით** რომელიც მითითებულია განმცხადებლის მიერ	**შეესაბამება** ზაკ-ი, მუხლი 37		–	–	–	–
მუხლი 3(5). გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომის უზრუნველსაყოფად შემუშავებული უნდა იყოს **შესაბამისი პროცედურები**	**შეესაბამება** ზაკ-ი, მუხლები 35, 37, 38, 40 და 41 კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ“, 2009 კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“, 2005		–	–	–	–
მუხლი 4. გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებლისათვის **უარის თქმის საფუძვლები**	**შეესაბამება** ზაკ-ი, მუხლი 41		–	–	–	–

ევროკავშირის დირექტივა მოთხოვნა / პრინციპი	შესაბამისობის შეფასება	კომენტარი	კონვერგენციისთვის აუცილებელი ღონისძიება	ღონისძიების დროში პრიორიტეტულობა	პასუხისმგებელი ორგანოები & კონტრიბუტორები	კონვერგენციის ინდიკატორები
მუხლი 5. გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება უფასო უნდა იყოს ადგილზე, ხოლო **საფასურის** არსებობის შემთხვევაში, იგი არ უნდა აჭარბებდეს გონივრულ რაოდენობას.	**შეესაბამება** ზაკ-ი, მუხლი 38 კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“, 2005		–	–	–	–
მუხლი 6. **მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა** განმცხადებლისთვის ინფორმაციის არადამაკმაყოფილებლად მიწოდების შემთხვევაში.	**ნაწილობრივ შეესაბამება** ზაკ-ი, მუხლი 2.5, მუხლი 47. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 39	იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს, რომ საჯარო უწყების მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის არადამაკმაყოფილებლად მიწოდების შემთხვევაში, ინფორმაციის მომთხოვნ პირს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს, არსებობს გარკვეული გარემოებები, რომლებიც გადახედვას საჭიროებენ. მაგალითად, სასამართლოში სარჩელის შეტანამდე ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის აუცილებლობა. აგრეთვე, სასამართლო დავების ხანგრძლივობა და მათი ხარჯი მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით.	საკანონმდებლო ცვლილებები	I -II წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები
მუხლი 7(1). გარემოსდაცვითი ინფორმაციის **გავრცელების გზები,** მათ შორის ელექტრონული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული კომუნიკაციის საშუალებით	**შეესაბამება** ზაკ-ი, მუხლები 35 და 49 „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი, მუხლი 5 კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ“		–	–	–	–

ევროკავშირის დირექტივა მოთხოვნა / პრინციპი	შესაბამისობის შეფასება	კომენტარი	კონვერგენციისთვის აუცილებელი ღონისძიება	ღონისძიების დროში პრიორიტეტულობა	პასუხისმგებელი ორგანოები & კონტრიბუტორები	კონვერგენციის ინდიკატორები
მუხლი 7(2). **გარემოსდაცვითი ინფორმაცია,** რომელიც რეგულარულად უნდა გამოაქვეყნოს საჯარო სამსახურმა (ჩამონათვალი)	**ნაწილობრივ შეესაბამება** საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხლი 14 საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 1 ნოემბრის ბრძანებულება №876 „გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 ივნისის №389 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	გარკვეული მოთხოვნები გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის შესახებ არსებობს საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში, თუმცა, ნათლად და სრულფასოვნად არ არის განსაზღვრული, თუ რა სახის გარემოსდაცვითი ინფორმაცია უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი და რომელი საჯარო უწყება რა სახის საჯარო გარემოსდაცვით ინფორმაციას უნდა ფლობდეს, აგროვებდეს და ავრცელებდეს.	საკანონმდებლო ცვლილებები	I წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი & არასამთავრობო ორგანიზაციები	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები

დამატებითი ღონისძიებები:

- სახელმწიფო ორგანოთა, განსაკუთრებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდა გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებისა და პროაქტიული გამოქვეყნებისთვის;
- სახელმწიფო მოხელეთა ტრეინინგი ინფორმაციის კომუნიკაციის ფორმებში.

2. დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების შესახებ

ევროკავშირის დირექტივა მოთხოვნა/პრინციპი	შესაბამისობის შეფასება	კომენტარი	კონვერგენციისთვის აუცილებელი ღონისძიება	ღონისძიების დროში პრიორიტეტულობა	პასუხისმგებელი ორგანოები & კონტრიბუტორები	კონვერგენციის ინდიკატორები
სკრინინგი	**არ შეესაბამება**	საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ სცნობს სკრინინგის ეტაპს. შეიძლება ითქვას, რომ სკრინინგის ეტაპი, ანუ იმის დადგენა, საჭიროების თუ არა საქმიანობა გზშ-ს, ხორციელდება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ კანონის საშუალებით. ამ კანონში მოცემულია იმ საქმიანობათა ნუსხას, რომლებიც საჭიროებენ სავალდებულო გზშ-ას. თუმცა, აღნიშნული ნუსხა სერიოზულ გადასინჯვას საჭიროებს. საქართველოს კანონმდებობა ასევე არ გულისხმობს იმ საქმიანობების ინდივიდუალურ განხილვას, რომლებიც არ არიან ამ ნუსხაში შეტანილი, თუმცა შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოახდინონ გარემოზე. ეს უკანასკნელი გარემოება არ შეესაბამება ევროკავშირის დირექტივას, სადაც ნათლადაა წარმოდგენილი ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს სკრინინგის პროცედურის განხორციელება იმ საქმიანობების მიმართ, რომლებიც კანონმდებლობით არ საჭიროებენ სავალდებული გზშ-ს.	საკანონმდებლო ცვლილებები	I-II წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი & არასამთავრობო ორგანიზაციები & დონორი ორგანიზაციები	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები
სკოპინგი	**არ შეესაბამება**	სკოპინგის ეტაპიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში. სკოპინგი, მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან ამ დროს მზადდება ტექნიკური დავალება, რომლის მიხედვითაც ხდება გზშ ანგარიშის შედგენა. სკოპინგი არის გზშ პროცესის ადრეული ეტაპი, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს გზშ-ის ხარიხს. სწორედ ამიტომ, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა სკოპინგის ეტაპზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.	საკანონმდებლო ცვლილებები	I-II წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი & არასამთავრობო ორგანიზაციები & დონორი ორგანიზაციები	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები

ევროკავშირის დირექტივა მოთხოვნა/პრინციპი	შესაბამისობის შეფასება	კომენტარი	კონვერგენციისთვის აუცილებელი ღონისძიება	ღონისძიების დროში პრიორიტეტულობა	პასუხისმგებელი ორგანოები & კონტრიბუტორები	კონვერგენციის ინდიკატორები
გზშ ანგარიშის მომზადება	**შეესაბამება** საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება №14 „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე		–	–	–	–
კონსულტაცია და გადაწყვეტილების მიღება	**არ შეესაბამება**	ევროკავშირის გზშ დირექტივა აკონკრეტებს რომ გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამასთან, საზოგადოებასთან კონსულტაციები, გზშ-ის ჩატარების სხვადასხვა ეტაპზე უნდა იყოს შესაძლებელი. დღევანდელი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად აბრკოლებს საზოგადოების დროულ და სრულფასოვან მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.	საკანონმდებლო ცვლილებები	I წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი & არასამთავრობო ორგანიზაციები & დონორი ორგანიზაციები	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები
კომპეტენტური ორგანოსთვის პროექტის განმახორციელებლის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება	**შეესაბამება** კანონი „გარმოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის №14ბრძანება „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე		–	–	–	–

ევროკავშირის დირექტივა მოთხოვნა/პრინციპი	შესაბამისობის შეფასება	კომენტარი	კონვერგენციისთვის აუცილებელი ღონისძიება	ღონისძიების დროში პრიორიტეტულობა	პასუხისმგებელი ორგანოები & კონტრიბუტორები	კონვერგენციის ინდიკატორები
საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც ექვემდებარებიან გზშ-ს	**ნაწილობრივ შეესაბამება** კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ“	ეროვნული კანონდებლობით განპირობებული საქმიანობათა ჩამონათვალი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის დირექტივის დანართში მოცემული საქმიანობათა ჩამონათვალს. საქართველოს კანონმდებლობაში არ არის ჩამოყალიბებული ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს, საჭიროებს თუ არა საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებას. ამასთან, კანონით შესაძლებელია მთელი რიგი გამონაკლისების დაშვება გზშ პროცედურის გამარტივებისა ან საქმიანობის გზშ პროცედურისაგან გათავისუფლების მიზნით.	საკანონმდებლო ცვლილებები	I-II წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი & არასამთავრობო ორგანიზაციები & დონორი ორგანიზაციები	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები
გზშ-სგან საქმიანობის გათავისუფლების საფუძველი	**არ შეესაბამება** „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ“	საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია საქმიანობის გათავისუფლება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან. ამგვარი დებულება ევროკავშირის დირექტივაშიცაა, თუმცა განხვავება იმაშია, რომ საქართველოს კანონდებლობაში ეს განმარტება მეტად ზოგადია და ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობა, რადგან გადაწყვეტილებას საქმიანობის გზშ პროცედურისაგან გათავისუფლების შესახებ იღებს გარემოს დაცვის მინისტრი, ხოლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ წინადადებებს შეიმუშვებს სპეციალური საბჭო, რომლის წევრებსაც ამტკიცებს ასევე გარემოს დაცვის მინისტრი გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლებიდან. ნებართვების, მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, გაცემის პროცესში გამონაკლისების დაშვების პრეცენდენტს ქმნის კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ ინვესტორს მოითხოვოს ნებისმიერი ლიცენზიის/ ნებართვის (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიის/ ნებართვის) გაცემა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მეშვეობით (მუხლი 4).	საკანონმდებლო ცვლილებები	I წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი & არასამთავრობო ორგანიზაციები & დონორი ორგანიზაციები	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები

ევროკავშირის დირექტივა მოთხოვნა/პრინციპი	შესაბამისობის შეფასება	კომენტარი	კონვერგენციისთვის აუცილებელი ღონისძიება	ღონისძიების დროში პრიორიტეტულობა	პასუხისმგებელი ორგანოები & კონტრიბუტორები	კონვერგენციის ინდიკატორები
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების არსებობის შემთხვევაში	**არ შეესაბამება**		საკანონმდებლო ცვლილებები	III წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი & დონორი ორგანიზაციები	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები

დამატებითი ღონისძიებები:

- სახელმძღვანელოების მომზადება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ეტაპებისთვის (სკრინინგის ეტაპი, სკოპინგის ეტაპი და ა.შ.);
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების სექტორული სახელმძღვანელოების მომზადება;
- კანონაღასრულების კონტროლზე პასუხისმგებელი ორგანოს/დანაყოფების შესაძლებლობების გაძლიერება, ზოგადად და კონკრეტულად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების შესახებ, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების შემდგომი მონიტორინგისა და კონტროლის საკითხებზე.

3. დირექტივა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ

ევროკავშირის დირექტივა მოთხოვნა/პრინციპი	შესაბამისობის შეფასება	კომენტარი	კონვერგენციისთვის აუცილებელი ღონისძიება	ღონისძიების დროში პრიორიტეტულობა	პასუხისმგებელი ორგანოები & კონტრიბუტორები	კონვერგენციის ინდიკატორები
სგშ-ის ჩატარების პროცედურა სგშ-ს გავრცელების ფარგლები (რა ტიპის საქმიანობაზე/სექტორზე ვრცელდება)	**არ შეესაბამება**		საკანონმდებლო ცვლილებები	III - IV წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი & დონორი ორგანიზაციები	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები
კონსულტაციების ჩატარება საზოგადოების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან (მოიცავს ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების ჩატარებასაც)	**არ შეესაბამება**		საკანონმდებლო ცვლილებები	III - IV წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი & დონორი ორგანიზაციები	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები

დამატებითი ღონისძიებები:
- სახელმძღვანელოების მომზადება სახელმწიფო მოხელეებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის;
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პილოტური პროექტების განხორციელება სხვადასხვა სახის გეგმებისა და პროგრამებისთვის.

4. დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისას საზოგადოების მონაწილეობის შესახებ

ევროკავშირის დირექტივა მოთხოვნა/პრინციპი	შესაბამისობის შეფასება	კომენტარი	კონვერგენციისთვის აუცილებელი ღონისძიება	ღონისძიების დროში პრიორიტეტუ ლობა	პასუხისმგებელი ორგანოები & კონტრიბუტორები	კონვერგენციის ინდიკატორები
ორგანიზაციების, ასოციაციებისა და ჯგუფების მონაწილეობა გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში	**ნაწილობრივ შეესაბამება** ზაკ-ი, მუხლი 2	შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზაკ-ით განმარტებული „დაინტერესებული პირის“ ცნება ეხება გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, თუმცა კონკრეტულად გარემოსდაცვითი ეროვნული კანონმდებლობით არ არის დეკლარილებული ორგანიზაციების, ასოციაციებისა და ჯგუფების მონაწილეობის მნიშვნელობა და აუცილებლობა.	საკანონმდებლო ცვლილებები	I-II წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები
საზოგადოების დროული ინფორმირება	**ნაწილობრივ შეესაბამება** კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, მუხლი 6	იმისდა მიუხედავად, რომ კანონი „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ ავალდებულებს საქმიანობის განმახორციელებელს საქმიანობის დაწყებამდე უზრუნველყოს გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა, საზოგადოების მონაწილეობა გზშ პროცესის ადრეულ ეტაპებზე არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული. რადგანაც საქართველოს კანონმდებლობა არ გულისხმობს სკოპინგისა და სკრინინგის ეტაპებს, ავტომატურად არ არსებობს სამართლებრივი მოთხოვნა მოხდეს საზოგადოების ჩართვა გზშ პროცესის ამ ადრეულ ეტაპებზე.	საკანონმდებლო ცვლილებები	I-II წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი & არასამთავრობო ორგანიზაციები & დონორი ორგანიზაციები	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები
კომენტარებისა და შენიშვნების მიღება და გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებისას (მოიცავს ვადებს)	**არ შეესაბამება** კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, მუხლი 6		საკანონმდებლო ცვლილებები	I წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები

ევროკავშირის დირექტივა მოთხოვნა/პრინციპი	შესაბამისობის შეფასება	კომენტარი	კონვერგენციისთვის აუცილებელი ღონისძიება	ღონისძიების დროში პრიორიტეტუ ლობა	პასუხისმგებელი ორგანოები & კონტრიბუტორები	კონვერგენციის ინდიკატორები
საზოგადოების ინფორმირება მათი კომენტარებისა და შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ	**არ შეესაბამება** კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, მუხლი 7 საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება №14 „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“, მუხლი 6(3)		საკანონმდებლო ცვლილებები	I წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები
საზოგადოების მონაწილეობა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარებისას	**არ შეესაბამება**		საკანონმდებლო ცვლილებები	III - IV წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი & დონორი ორგანიზაციები	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები

ევროკავშირის დირექტივა მოთხოვნა/პრინციპი	შესაბამისობის შეფასება	კომენტარი	კონვერგენციისთვის აუცილებელი ღონისძიება	ღონისძიების დროში პრიორიტეტუ ლობა	პასუხისმგებელი ორგანოები & კონტრიბუტორები	კონვერგენციის ინდიკატორები
საზოგადოების მონაწილეობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ჩატარებისას	**ნაწილობრივ შეესაბამება** კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, მუხლი 6	საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების ანგარიში საჯარო განხილვის წესს. თუმცა, ამავე დროს, საზოგადოების მონაწილეობა მნიშვნელოვნად იზღუდება შემდეგი სამართლებრივი გარემოებების გამო: • საქართველოს კანონმდებლობა არ განიხილავს სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპებს და შესაბამისად, საზოგადოებას არ აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს გზშ პროცესის ამ ადრეულ ეტაპებზე. • მთელი რიგი საქმიანობებისა, რომლებსაც შესაძლებელია ჰქონდეთ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე არ ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას რაც გამორიცხავს საზოგადოები მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. • საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა ევალება საქმიანობის განმახორციელებს. ამგვარად, დაინტერესებულ საზოგადოებას არ აქვს საშუალება ადმინისტრაციული პროცედურის დაწყებისთანავე ჩაებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უშუალოდ დაუკავშირდეს გადაწყვეტილების მიმღებ უწყებას. • კანონის „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ“ განხორციელებამნიშვნელოვანი დაბრკოლებებსქმნის საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.	საკანონმდებლო ცვლილებები	I-II წელი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი & დონორი ორგანიზაციები	საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ატები

დამატებითი ღონისძიებები:

- საზოგადოების ეფექტური ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის სახელმძღვანელოს მომზადება (სახელმწიფო მოხელეთათვის და პროექტების ინიციატორებისთვის).

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით.

ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ენერგეტიკა - მოპოვებითი მრეწველობა - კლიმატის ცვლილება; ტრანსპორტის სექტორის მდგრადი განვითარება; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ხე-ტყის არალეგალური ჭრის აღკვეთა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა; ნარჩენებისა და წყლის მართვა. ამ თემატური მიმართულებების გარდა, მწვანე ალტერნატივას პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშეწყობა; ინფორმაციაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესებსა და მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველოფა; გარემოსდაცვითი მართვისა და მდგრადი განვითარების ინსტრუმენტების გაუმჯობესება; ევროპის სამეზობლო პოლიტიკა; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის და საქართველოსთვის გაწეული საერთაშორისო ფინანსური დახმარების მონიტორინგი.

მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ, საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრია. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. დაარსების დღიდან ასოციაცია არის „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის“ წევრი; ორგანიზაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს “დედამიწის მეგობრების” საერთაშორისო ფედერაციასთან, „კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან“, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციასთან; მწვანე ალტერნატივა 2008 წელს დაარსებული კოალიციის «გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის» წევრიცაა. 2010 წელს მწვანე ალტერნატივას ინიციატივით დაფუძნდა „საქართველოს მწვანე ქსელი“ - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ექსპერტების არაფორმალური გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია დაიცვას გარემო, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში.

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზე მიმართული კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის გაწეული წარმატებული საქმიანობისათვის.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org